საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
TRAINING CENTER OF JUSTICE OF GEORGIA

elsa
The European Law Students' Association
TBILISI

მემორანდუმი

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრსა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია თბილისს შორის

საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროში თანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი 5 მაისი 2013წ.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის, ნინო ბერუაშვილის სახით და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია თბილისი წარმოდგენილი პრეზიდენტის, ზურაბ ბეჟაშვილის სახით (შემდგომში - მხარეები), აღიარებენ რა ორმხრივ ინტერესს, ხელი შეუწყონ სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებასა და განზოგადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ასევე, იურიდიული განათლების სფეროში თანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი გაღრმავების მიზნით, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.
წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით მხარეები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და საქართელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თანხმდებიან საგანმანათლებლო და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების სფეროში ურთიერთთანამშრომლობაზე.

მუხლი 2.
მხარეთა თანამშრომლობის მიზანია:
ა) სტუდენტების ხელშეწყობა ხარისხიანი იურიდიული განათლების მიღებაში, დასაქმებასა და თვითრეალიზებაში;
ბ) ახალგაზრდების სამართლებრივი მართლშეგნების დონის ამაღლება;
გ) გამოცდილების გაზიარება;
დ) პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
ე) ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე/მოქმედებებზე/ღონისძიებებზე საზოგადოების ფართო მასებისათვის ინფორმაციის მიწოდება.

მუხლი 3.
მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და ფარგლები, მხარეთა ორმხრივი ნებით, შესაძლებელია, განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით.

მუხლი 4.
წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 5.
მხარეთა შორის მემორანდუმის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 6.
მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

მუხლი 7.
მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

....

ევროპის იურისტ სტუდენტთა
ასოციაცია თბილისის პრეზიდენტი

ზურაბ ბეჟაშვილი

საქართველოს იუსტიციის სასწავლო
ცენტრის დირექტორი

ნინო ბერუაშვილი